საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 6 16 01204076

07/10/2016

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს

როგორც მოგეხსენებათ, 2016 წლის 17-25 სექტემბერს გაიმართა მეცნიერებისა და ინოვაციების თბილისის ფესტივალი, რომლის ფარგლებში ჩატარდა 150-ზე მეტი ღონისძიება, მათ შორის საჯარო ლექციები, კონფერენციები, პრეზენტაციები, ექსკურსიები, გამოფენები, საბავშვო ღონისძიებები და სხვ. ფესტივალის მსვლელობაში აქტიურად იყო ჩართული საქართველოს და უცხო ქვეყნის მრავალი უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, აკადემიური, სამეცნიერო, სახელოვნებო და საზოგადოებრივი სფეროს წარმომადგენლები.

მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფის სახელით გილოცავთ ფესტივალის წარმატებით ჩატარებას, მადლობას ვუხდით თქვენს ორგანიზაციას მონაწილეობისათვის და ფესტივალის წარმატებით განხორციელებაში შეტანილი წვლილისთვის. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით თქვენი ორგანიზაციის მიერ ჩატარებული ღონისძიებების მომზადებასა და ჩატარებაში ჩართულ თითოეულ პირს.

იმედს გამოვთქვამთ, რომ ჩვენი თანამშრომლობა ასეთივე წარმატებით გაგრძელდება მომავალშიც.

პატივისცემით,

უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების
განვითარების დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ირინე დარჩია